პროექტი

საქართველოს კანონი

"საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი №45, 21.11.1997, გვ. 55) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) სამსახურში მიღებისას აუცილებელია პირმა წარადგინოს სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების I და II სიაში შეტანილ ნივთიერებებისადმი დამოკიდებულების ნიშნების არარსებობა".

2) 25-ე მუხლის პირველი პუნქტის "თ" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) სპეციალიზირებული სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტურდება საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების I და II სიაში შეტანილ ნივთიერებებისადმი დამოკიდებულების ნიშნების არარსებობა."

3) 98-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის "ზ" ქვეპუნქტი:

"ზ) ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების ფაქტზე პერიოდული შემოწმების შედეგად საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოაქტიური ნივთიერებების I და II სიაში შეტანილ ნივთიერებების მოხმარების დადასტურების შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოხელე ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს მოიხმარს სამკურნალო მიზნით და გააჩნია ამის დამადასტურებელი ექიმის დანიშნულება."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი — მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2008 წლის